ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2039060

ნომერი: AR1329635

თარიღი : 24.07.2015

გაცემის თარიღი : 29.07.2015

გაცნობის თარიღი : 06.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარო მაყაშვილის ქუჩის ჩიხი N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბერიძე პ/ნ 01026009176
- დოლიძის ქ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

04.11.2014 წლის #1577343 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 24 ივლისს AR1329635 განცხადებით მომართა ირაკლი ბერიძემ და მოითხოვა 04.11.2014 წლის #1577343 ბრძანებაში ცვლილების შეტანა მესაკუთრესა და დამკვეთთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.11.2014 წლის #1577343 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, გზატკეცილი კოჯორი, დასაწყისი, ჩიხი 1, #2, #2-ის მიმდებარე ტერიტორია, #6, #6-ის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი #6/38), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.15.07.006.038), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 05 ოქტომბრიდან 2016 წლის 05 მაისის ჩათვლით.
დღეისათვის განმცხადებელი 24/07/2015 წლის AR1329635 განცხადებით ითხოვს 04.11.2014 წლის #1577343 ბრძანებაში მითითებული დამკვეთის ცვლილებას. კერძოდ, დამკვეთად შპს "მ2 სკაილაინი"–ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404498129) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან–მომზადების თარიღი: 24/07/2015 15:49:05; განაცხადის რეგისტრაციის #882015417406, თარიღი: 24/07/2015 14:19:49) სამშენებლო მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.15.07.006.038) ახალ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მ2 სქაილაინი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404498129) და შესაბამისად, მას აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15152687, 24/07/2015 10:08:13) დასტურდება, რომ შპს „მ2 სქაილაინი“–ის დირექტორი არის ემზარ ოთხოზორია.
ამდენად, თუ შპს „მ2 სქაილაინი“–ის წესდებით არ არის გათვალისწინებული დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილება, შპს „მ2 სქაილაინი“–ის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების უფლებამოსილება აქვს მის დირექტორს–ემზარ ოთხოზორიას. სხვა შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პირს.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შპს „მ2 სქაილაინი“–ის დირექტორის, ემზარ ოთხოზორიას მიერ გაცემული 2015 წლის 28 ივლისის #1 მინდობილობით დასტურდება, რომ განმცხადებელ ირაკლი ბერიძეს მინიჭებული აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, წარმოადგინოს შპს „მ2 სქაილაინი“ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში 2014 წლის 04 ნოემბრის #1577343 ბრძანებაში მითითებული დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლების,მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ირაკლი ბერიძის 2015 წლის 24 ივლისის AR1329635 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.11.2014 წლის #1577343 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "მ2 სკაილაინი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404498129)
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.